ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2024
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
გადმოცემის თანახმად, **ვიკინგების** ტრადიციული **ნამცხვარი** იმიტომ იყო **მრგვალი ფორმის**, რომ მას **ბრძოლის** შემდეგ **პირდაპირ დამარცხებულზე აცხობდნენ**. წინა წინადადებაში **ერთი სიტყვა შევცვალეთ სხვა სიტყვით**. აღადგინეთ სიტყვა **თავდაპირველი** ფორმით.

პასუხი: ფარზე
კომენტარი: ვიკინგების ნამცხვარს მრგვალი ფორმა ჰქონდა იმიტომ, რომ მას პირდაპირ ვიკინგურ მრგვალ ფარზე აცხობდნენ. ვიკინგებთან ასოცირებულ ცნობილ ფრაზაში "ფარით ან ფარზე" სიტყვა "ფარით" შეესაბამებოდა გამარჯვებულს, ხოლო სიტყვა "ფარზე" - დამარცხებულს.
https://en.wikipedia.org/wiki/Æbleskiver
https://ru.wikipedia.org/wiki/Со_щитом_или_на_щите

2. 6-ქულიანი შეკითხვა
საკუთარი **ანიმაციების** შესახებ საუბრისას ამ **ამერიკელმა** განაცხადა: "მე არ მყოფნის **ორგანზომილებიანი** სამყარო". ამ სიტყვების შემდეგ მისი ინიციატივით დაიწყო **კალიფორნიაში პირველი იქსის მშენებლობა**. თუ მიხვდით ამ ამერიკელის **გვარს**, დაასახელეთ იქსი **ორფუძიანი სიტყვით**.

პასუხი: დისნეილენდი
კომენტარი: უოლტ დისნეიმ გადაწყვიტა, რომ დისნეის ანიმაციების მაგიური სამყარო ეკრანებიდან რეალურ ცხოვრებაშიც გადმოეტანა. ამ მიზნით მან შექმნა დისნეილენდი.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
მასალაზე მოცემულია **იქსების ინგლისური დასახელებების პირველი ასოები**. ეს ასოები დალაგებულია **იქსების ზომის მიხედვით**. საინტერესოა, რომ მასალაზე **ფიფქით შეცვლილი ხუთი ასო** ამ სიის **მესამე წევრის სახელს ემთხვევა**. დაასახელეთ იქსები.

პასუხი: მზის სისტემის პლანეტები
ჩათვლა: პლანეტები
კომენტარი: ალბათ შენიშნავდით, რომ სიაში სულ რვა წევრია. მასალაზე გამოსახულია მზის სისტემის პლანეტების პირველი ასოები, რომლებიც პლანეტათა ზომების მიხედვით არიან

დალაგებული ზრდადობით. დაფარული ხუთი ასო შეესაბამება ზომის მიხედვით დალაგებულ ხუთ პლანეტას: Venus (ვენერა), Earth (დედამიწა), Neptune (ნეპტუნი), Uranus (ურანი), Saturn (სატურნი). თავად ეს ხუთი ასოც გვაძლევს სიტყვას “Venus” (ვენერა).

4. 5-ქულიანი შეკითხვა
მხატვარ ნოვაკ რადოვიჩის **ჩანახატებში** ხშირადაა აღწერილი მისი **მენტალური მდგომარეობა**. ერთი ხელოვნებათმცოდნე მხატვრის **ბლოკნოტს** ერთგვარ **იქსად მოიხსენიებს**. **ფენტეზის** ჟანრის ნაწარმოებში **იქსი მთავარი ბოროტმოქმედის საკუთრებაა** და **შვიდიდან პირველს** წარმოადგენს. დაწერეთ იქსი **ექვსასოიანი** სიტყვით.

პასუხი: დღიური
კომენტარი: ვინაიდან მხატვრის ბლოკნოტში ხშირია მისი სულიერი მდგომარეობის ამსახველი ჩანახატები, ბლოკნოტი შეადარეს დღიურს, სადაც ადამიანები ხშირად საკუთარ გრძნობებსა და ფიქრებზე წერენ. ჰარი პოტერის სამყაროში ტომ რიდლის დღიური იყო პირველი ჰორკრუქსი, რომელიც ლორდმა ვოლდემორმა შექმნა.
https://en.wikipedia.org/wiki/Novak_Radonić
https://www.harrypotter.com/features/history-of-voldemorts-horcruxes

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთმა **ფინანსისტმა** დათვალა, რომ გასული საუკუნის **80-იან წლებში** ამერიკელმა ახალგაზრდებმა **იქსს აჭამეს 7 მილიარდ დოლარამდე**. ერთ სიმღერაში, რომელიც **იქსის თამაშს** ეძღვნება, მთავარი პერსონაჟი წუწუნებს **დაღლილ ხელებსა** და **კოჟრიან თითებზე**. დაწერეთ იქსი **დეფისის** გამოყენებით.

პასუხი: პაკ-მენი
კომენტარი: გაირკვა, რომ ცნობილი ვიდეოთამაშის, პაკ-მენის სათამაშო აპარატებზე ამერიკელმა ახალგაზრდებმა 7 მილიარდი დოლარის მონეტები დახარჯეს. თამაშის მიზანი კი რაც შეიძლება ბევრი მონეტისმაგვარი წერტილის გადაყლაპვაა. თამაში აპარატის ღილაკებით და ჯოისტიკებით ითამაშება, შესაბამისად, პერსონაჟი ჩივის დაღლილ ხელებზე.
https://www.geekymatters.com/pac-man-history/
https://en.wikipedia.org/wiki/Pac-Man_Fever_(album)

6. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
სიტყვებით “**ამის გაკეთება**” შეცვლილია **ორი სიტყვა**.
აზიაში მდებარე ერთ ხიდის **თაღები იქსს სიმბოლიზირებს** და მის საწყის ნაწილს ნაწილს **შეუძლია ამის გაკეთება**. სამეცნიერო თვალსაზრისით, იქსს ამის კეთება **ძლიერი ფილტვების** და კუჭში

მყოფი **სპეციალური მინერალების** წყალობით შეუძლია. დაასახელეთ **არსება**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: დრაკონი
კომენტარი: ხიდს ჩინური დრაკონის ფორმა აქვს და მის თავს პირიდან ცეცხლის გამოშვებაც შეუძლია. სამეცნიერო თვალსაზრისით, თუ დრაკონები იარსებებდნენ, მათ დასჭირდებოდათ ძლიერი ფილტვები ჟანგბადის დიდი მარაგისთვის და სპეციალური მინერალები, რომლებიც ჟანგბადის ნაკადის აალებას გამოიწვევდა.
https://en.wikipedia.org/wiki/Dragon_Bridge_(Da_Nang)
https://dragon-de-extinction.webnode.page/fire-breathing-dragons/#:~:text=Some%20scientists%20believe%20that%20dragons,and%20bone%20in%20large%20pieces.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
აზიური კომბოსტოსებრი მცენარეების ფოთლები და ყვავილები **არც სილამაზით** და **არც გემოვნური თვისებებით** არ გამოირჩევა. თუმცა, **მეოცე საუკუნის შუაში** მომხდარი მოვლენის შემდეგ, მათმა **აღმოცენებამ** და **უსაფრთხოობამ**, **ორი ქალაქის** მოსახლეობა ძალიან **გაახარა**. დაასახელეთ ამ ორი ქალაქიდან ნებისმიერი.

პასუხი: ჰიროშიმა ან **ნაგასაკი**
კომენტარი: აზიური კომბოსტოსებრი მცენარეების ფოთლები განსაკუთრებული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ ჰიროშიმასა და ნაგასაკის მოსახლეობა ძალზე გაახარა იმის გააზრებამ, რომ მათ ქალაქში ატომური დაბომბვის შემდეგაც აღმოცენდა უსაფრთხო საკვები.
http://lib.rus.ec/b/143610/read

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

საბჭოთა კავშირი და **ნაცისტური გერმანია** მთავარ მოწინააღმდეგედ **ერთმანეთს მოიაზრებდნენ**, მაგრამ 1939 წელს გაფორმებულმა **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა** ორი ქვეყანა დროებით "**დაამეგობრა**". ერთი ვერსიით, ეს ფაქტი **შთაგონების წყაროდ** იქცა **1903 წელს** დაბადებული **ბრიტანელისთვის**. დაასახელეთ ეს ბრიტანელი.

პასუხი: ჯორჯ ორუელი
კომენტარი: ჯორჯ ორუელის წიგნში "1984" გვხვდება ეპიზოდი, სადაც მტრულად განწყობილი ოკეანია და ევრაზია უეცრად დამეგობრდებიან. ვერსიის თანახმად, ეს ეპიზოდი საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის გაფორმებული მოულოდნელი პაქტის ალუზიაა.
https://www.foreignaffairs.com/reviews/socialist-patriot-george-orwell-and-war

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი ქვეყნის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ფერია **შავი**, ხოლო თავისუფალი დემოკრატების ფერია **ყვითელი**. ამ ორისა და **მწვანეების** კოალიციას უწოდეს **იქსის კოალიცია**. ერთმა ბლოგერმა იხუმრა, რომ **იქსი** ცნობილია **სწრაფი ათლეტით** და **ნელი მუსიკით**. დაასახელეთ იქსით შეცვლილი **ქვეყანა**.

პასუხი: იამაიკა
კომენტარი: სამივე პარტიის ფერების კომბინაციით მიიღება იამაიკის დროშის ფერთა შეხამება, ამიტომაც მათ კოალიციას იამაიკის კოალიციაც უწოდეს. შეკითხვის მეორე ნაწილში საუბარი იყო იამაიკელ სპრინტერზე, უსეინ ბოლტზე, და ნელი ტემპის მქონე რეგი მუსიკაზე.
https://en.wikipedia.org/wiki/Jamaica_coalition_(politics)

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

Enjoy Vienna. Not [redacted] Vienna

]

ერთი **სოციალური პოსტერი** მოგვიწოდებს, რომ ავსტრიაში **მოგზაურობისას** პირველ რიგში **რეალურ ცხოვრებაში** დავტკბეთ ქალაქ ვენის **ღირშესანიშნაობებით**. აღნიშნულ პოსტერზე ჩვენ **დავფარეთ** ერთი **სიმბოლო**. **გამოსახეთ** ეს სიმბოლო.

პასუხი: #
კომენტარი: მასალაზე დაფარული იყო ე.წ. ჰეშთეგის, გნებავთ, დიეზის სიმბოლო. სოციალური კამპანია მოგვიწოდებს, რომ ვენაში ყოფნისას დრო ღირსშესანიშნაობების თვალიერებას დავუთმოთ და არა სურათების სოციალური ქსელში განთავსებას.
https://unhashtag.vienna.info/en-us

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ყოველწლიურ პრემიას, რომელიც პირადი ცხოვრების ჩარჩოების უხეში დარღვევისთვის გადაეცემათ მთავრობებსა და ორგანიზაციებს, ჰქვია იქსის პრემია. ერთი პიროვნება იხსენებს, რომ ადრე ბავშვებს ხშირად ეცვად თავიანთ ზომაზე გაცილებით დიდი ტანსაცმელი, რათა პოტენციური მჩაგვრელებისთვის მიენიშნებინათ, რომ მათ ჰყავდათ იქსები. დაწერეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: დიდი ძმა
ჩათვლა: უფროსი ძმა
კომენტარი: პირადი ცხოვრებისა და უფლებების დარღვევისთვის გაცემული პრემია ატარებს ტოტალიტარული რეჟიმის მმართველი პერსონაჟის სახელს. მეორე მხრივ, ბავშვები იცვამდნენ დიდი ზომის ტანსაცმელს, რათა მჩაგვრელებს ეფიქრათ, რომ ამ ბავშვებს ჰყავთ დიდი ძმები.
https://en.wikipedia.org/wiki/Big_Brother_Awards
https://www.goodreads.com/book/show/114683.Wall_and_Piece

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ეს შეკითხვა არის დუპლეტი. იკითხება ჯერ პირველი შეკითხვა და ჩაირთვება 45 წამი; შემდეგ იკითხება მეორე შეკითხვა, ჩაირთვება ისევ 45 წამი. ქულას გუნდი მიიღებს ორივე სწორი პასუხის შემთხვევაში.

დუპლეტი:

1) ერთი ფოტოგრაფის სერიაში ვხვდებით სურათებს, რომლებიც გვანან კადრებს ფილმებიდან, თუმცა ყველა სცენა ავტორის მიერაა მოგონილი. კრიტიკოსების აზრით, ფოტოგრაფის ნამუშევრები იდეალურად ახდენენ იქსის პროვოცირებას. დაწერეთ იქსი.

2) ცნობილი ფოტოგრაფის სერიაში ვხვდებით სურათებს, რომლებიც მიმსგავსებულია ფილმების კადრებთან, თუმცა ყველა ანტურაჟი ავტორის მიერაა მოგონილი. შემფასებელთა აზრით, ფოტოგრაფის ნამუშევრები იდეალურად ახერხებენ იქსის აღძვრას. დაწერეთ იქსი უცხოური სიტყვის გამოყენებით.

პასუხი: დეჟავუ ; დეჟავუ
კომენტარი: ფოტოგრაფის ნამუშევრები იმდენადაა მიმსგავსებული ცნობილ კადრებს, რომ მაყურებელი დეჟავუს ეფექტის ქვეშ ექცევა. დუპლეტის ორივე კითხვა თითქმის იდენტური იყო, რითაც ჩვენ ვეცადეთ, დეჟავუს ეფექტი გამოგვეწვია თქვენში.
https://birdinflight.com/ru/pochemu_eto_shedevr/20160826-kadry-iz-filmov-bez-nazvaniya-sindi-sherman.html

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი ვერსიის თანახმად, იქსის მშენებლობა კოლოსალურად ძვირი იყო. ამიტომ, შაჰის უფროსმა შვილმა მოაწყო აჯანყება, როცა გაიგო, რომ იქსის მოპირდაპირედ მისი შავი, სამგლოვიარო დანიშნულების ანალოგი უნდა აშენებულიყო. დაწერეთ იქსით შეცვლილი ღირსშესანიშნაობა დეფისის გამოყენებით.

პასუხი: თაჯ-მაჰალი
კომენტარი: მარმარილო ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მასალაა და ამიტომ ინდოეთში მდებარე მავზოლეუმის, თაჯ-მაჰალის მშენებლობა სახელმწიფოს თითქმის ორი წლის ბიუჯეტი დაუჯდა. ერთი ვერსიით, როდესაც ინდოეთის შაჰის შვილმა გაიგო, რომ მავზოლეუმის წინ შავი, სამგლოვიარო ანალოგი უნდა აგებულიყო, მან მამის წინააღმდეგ აჯაყება მოაწყო.
https://planeta.by/useful/indiya-zemlya-kontrastov-dvorczov-i-chaya

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი კინოფილმის რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ ჯეიმს კამერონის ავატარმა გააკეთა ეს, როცა დედამიწაზე მასიურად გაავრცელა 3D ფილმების პოპულარობა. ტერმინი “ამის გაკეთება” ბერძნული მითოლოგიიდან მოდის და კატასტროფულად ნეგატიურ ხასიათს ატარებს. დაწერეთ სამი სიტყვა, რომლებიც შევცვალეთ სიტყვებით “ამის გაკეთება”.

პასუხი: პანდორას ყუთის გახსნა
კომენტარი: პანდორა პლანეტაა, სადაც ერთ-ერთი პირველი და ყველაზე წარმატებული სამი დე ფილმის, ავატარის მოვლენები ვითარდება. პანდორას ყუთის გახსნის შემდეგ დედამიწაზე ყველანაირი ბოროტება გავრცელდა.
http://www.kinopoisk.ru/level/79/user/899250/comment/834424/

15. 7-ქულიანი შეკითხვა
1935 წელს ჟურნალმა “თაიმსმა” წლის ადამიანად ეთიოპიის იმპერატორი გამოაცხადა. ეს იყო ისტორიული მოვლენა, რადგან იმპერატორი იყო პირველი შავკანიანი და პირველი მონარქი,

რომელმაც ეს წოდება მიიღო. ერთმა ბლოგერმა აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევა თითქმის განმეორდა 1960-იან წლებში, როცა წლის ადამიანის წოდება მიანიჭეს იქსს. დაწერეთ იქსის ვინაობა რამდენიმე სიტყვით.

პასუხი: მარტინ ლუთერ კინგი (ჯუნიორი)

http://en.wikipedia.org/wiki/Time_Person_of_the_Year